

ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი N13 საცხოვრებელი სახლის
N39 ბინაზე, მოქალაქე გოჩა ჩიქოვანისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ზვიად გამსახურდიას გამზირი N13 საცხოვრებელი სახლის N39 ბინაში მცხოვრები მოქალაქე გოჩა ჩიქოვანის განცხადება /2013 წლის 22.04 №4256/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი N13 საცხოვრებელი სახლი N39 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი N13 საცხოვრებელი სახლის N39 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გოჩა ჩიქოვანს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი N13 საცხოვრებელი სახლის N39 ბინაზე /საერთო ფართობი 71,64 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 42,13 კვ.მ, დამხმარე ფართობი 29,51 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 25,00 კვ.მ./ მოქალაქე გოჩა ჩიქოვანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი